აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ანგარიში 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ

2018 წლის საანგარიშო პერიოდში იუსტიციის დეპარტამენტმა უზრუნველყო შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

ა) იუსტიციის დეპარტამენტის მიერ შემუშავდა და განისაზღვრა უწყების 2018 წლის აქტივობებისა და ღონისძიებების სამუშაო გეგმა და მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა, რომლის საფუძველზე აფხაზეთის მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარდგენილ იქნა:

– „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი;

– ინფორმაცია „ოკუპირებულ აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ“;

– ინფორმაცია „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ბაზის მდგომარეობის შესახებ“;

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა და შესაბამისი პასუხი გაეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებიდან შემოსულ (31 დადებითი და 4 უარყოფითი) ნორმატიული აქტების პროექტებს. ხოლო ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად უზრუნველყოფილ იქნა სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 19 დადგენილებისა და მინისტრის 9 ბრძანების გამოქვეყნება;

გ) უზრუნველყოფილ იქნა 2018 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების რეესტრის წარმოება და ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება;

დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმის განვითარების მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულება - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს მიერ უზრუნველყოფილ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, სხვადასხვა უწყებებისა და დაწესებულებების არქივების ორგანიზაციის მეთოდიკური დახმარების გაწევა და საარქივო საქმიანობის კოორდინაცია. მიღებულ იქნა დოკუმენტაცია საარქივო ფონდში;

ე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მიერ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან შემოსული მასალების განხილვის საფუძველზე, უზრუნველყოფილ იქნა პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიმღებ პირებზე ფოტოიდენტურობის დადასტურება და საცხოვრებელი ადგილის დადგენა. საანგარიშო პერიოდში კომისიის დასკვნით 65 პიროვნებას დაუდასტურდა ფოტოიდენტურობა; გაიცა ერთი ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, მათი განცხადებების საფუძველზე, გაეწიათ ზეპირი სახის სამართლებრივი კონსულტაციები და მომზადებულ იქნა შესაბამისი დოკუმენტაციები (სასარჩელო განცხადება) სასამართლოში წარდგენის მიზნით (სტაჟის დადგენა, დევნილის სტატუსის აღდგენა, საცხოვრებელი ფართის

დაკანონება, აფხაზეთში დაღუპვისა და უგზო–უკვლოდ დაკარგულის სტატუსის დადგენა, ქორწინების აქტის აღდგენა, სააქტო ჩანაწერში (დაბადების) არსებული ხარვეზის გამოსწორება და სხვ).

N	2018 წლის ინფორმაცია სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს სამართლებრივი დახმარების განყოფილების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ დევნილთა პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით	რაოდენობა
1	წერილობითი და ზეპირი სამართლებრივი ხასიათის კონსულტაცია	54
2	სასარჩელო განცხადება	24
3	სამუშაო სტაჟის დადგენა	12
4	ქულების რაოდენობისა და საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საკითხები	12
5	იურიდიული მნიშვნელობის (ქორწინების) მქონე ფაქტის დადგენა	15
6	სხვა საკითხები	10

ზ) აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის ადგილზე უფასო სამართლებრივი კონსულტაციების გაწევის მიზნით, იუსტიციის დეპარტამენტის თანამშრომლები მივლინებულ იქნენ ქ. ახალციხეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, რა დროსაც განხორციელდა შეხვედრა აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობასთან, მათ შორის დევნილების კომპაქტურ დასახლებებში. ამ მიმართულებით განხორციელდა გასვლითი ღონისძიებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონში, ქ. ზუგდიდში, ქ. სამტრედიაში, ქ.თელავში და ქ.თბილისში დევნილთა სხვადასხვა ჩასახლებაში. დარიგებულ იქნა საცნობარო ,,ფლაერები“ დეპარტამენტის მიერ დევნილებისათვის შეთავაზებული სამართლებრივი დახმარების გაწევის თაობაზე;

თ) საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტში დოკუმენტბრუნვამ სულ შეადგინა 1511 (ათას ხუთას თერთმეტი) ერთეული. მათ შორის:

- შემოსული კორესპონდენცია - 409;
- გასული კორესპონდენცია - 429;
- შიდა - 673;
- მომზადდა და ხელი მოეწერა სამართლებრივ აქტებს, სულ - 185 (ას ოთხმოცდახუთი), მათ შორის:

ძირითადი საქმიანობის შესახებ - 43;
პირადი შემადგენლობის შესახებ - 41;
მივლინება/შვებულების შესახებ - 75;
ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხებზე - 26;

- შრომითი ხელშეკრულება - 8 (რვა);
- ადმინისტრაციული ხელშეკრულება - 2 (ორი);

ი) საბუღალტრო – საფინანსო საქმიანობის კუთხით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში დარეგისტრირებულია: 1905 საგადახდო მოთხოვნა; 95 სახელფასო პაკეტი და უწყისი; 337 ვალდებულების დოკუმენტი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პორტალზე აიტვირთა 75 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და შესყიდვების ხელშეკრულების მიმდინარეობის CMR მოდულზე ატვირთულია შესაბამისი შესყიდვის განხორციელების და ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტები. სულ იანვრიდან დარეგისტრირებული ხელშეკრულებებიდან 6 წლიურ ხელშეკრულებაზე მიმდინარეობს მონაცემთა ყოველთვიური

მონიტორინგი და მათ ფარგლებში განხორციელებული ანგარიშსწორების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტის ატვირთვა.

– აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ვადების დაცვით წარდგენილია 2018 - 2021 წ.წ. საბიუჯეტო ანაცხადი;

კ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი, კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობის მიზნით, არსებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე განხორციელდა იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდის განახლება, რომელზეც ელექტრონული ფორმითაა განთავსებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი ნორმატიული აქტების კონსოლოდირებული ვერსიები; ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინიციატივების განხორციელების ფარგლებში იუსტიციის დეპარტამენტში მომზადდა (ყოველკვირეული) ინფორმაცია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოვლენების, ადამიანის უფლებების დარღვევის, პასპორტიზაციისა და ეკოლოგიური პრობლემების თაობაზე. ასევე, ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედი სამოქალაქო სექტორის მიერ გამოქვეყნებული სტატიები და უცხოელი ექსპერტების ანალიტიკური პუბლიკაციები ოკუპირებულ აფხაზეთში სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციები განთავსებულ იქნა ოფიციალურ ვებგვერდზე. გარდა ზემოაღნიშნულისა, სისტემატიურად ხორციელდებოდა იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციის განახლება-განთავსება;

ლ) უზრუნველყოფილ იქნა იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს სამართალშემოქმედების განყოფილების უფროსის (II რანგის მე-2 კატეგორია (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი დახურული კონკურსის ჩატარება, რომელთან დაკავშირებითაც ინფორმაცია გადაგზავნილ იქნა საჯარო სამსახურის ბიუროში. ამასთან, ახალგაზრდა, პროფესიული კადრების მომზადების მიზნით, იუსტიციის დეპარტამენტმა უზრუნველყო სტაჟიორ/პრაქტიკანტებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად სათანადო პირობების შექმნა. დღეისათვის სტაჟირებას გადის 6 სტაჟიორი; ხოლო სტაჟირების სრული კურსი 2018 წელს დაასრულა 9 სტაჟიორმა;

მ) შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ დევნილობაში მიღებული ნორმატიული აქტების სისტემატიზაციისა და ბეჭდური გამოცემის უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფი;

ნ) დეპარტამენტის ორგანიზებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების იურიდიული სამსახურების თანამშრომლების მონაწილეობით, სამუშაო შეხვედრები ჩატარდა:

- დევნილთა სოციალური - ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შესაბამისი მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის რეფორმირების თაობაზე წინადადებების მომზადების მიზნით აფხზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილ მოსამართლესთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთან, თემაზე „საქართველოში მართლმსაჯულების პროცესის ორგანიზების საკითხები“;

- სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელთან თემაზე: ,,სასამართლო პრაქტიკა დევნილთა პრობლემატური საკითხების მიმართ“.